



სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია

## დანართი # 2

სანქციები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის.

ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის, სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია დამნაშავე მოთამაშეს ან პიროვნებას და მათ სრკ-ს წევრ სუბიექტს დააკისროს ისეთი სანქციები, რასაც საჭიროდ ჩათვლიან. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს:

- ა) გაფრთხილება, გაკიცხვა;
- ბ) ფულადი ჯარიმა და/ან განკარგულება ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით;
- გ) გაძევება ტურნირის და/ან მატჩების სერიის დარჩენილი ნაწილიდან;
- დ) რაგბის კავშირის ტერიტორიაზე არსებულ სტადიონებზე დაშვების აკრძალვა;
- ე) დისკვალიფიკაცია და/ან რაგბთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობის გარკვეული პერიოდით აკრძალვა;
- ვ) ზემოთჩამოთვლილი და სხვა შესაფერისი სანქციების ნებისმიერი კომბინაცია.

### მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხოვა

მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტის განხილვისას, სადისციპლინო კომისია, დაღვევის სიმძიმის შეფასებისას, ითვალისწინებს შემდეგ დეტალებს:

- ა) გამოყენებული შეურაცხმყოფელი სიტყვების უცენზურობის და სენსიტიურობის ხარისხს;
- ბ) გამოყენებული შეურაცხმყოფელი სიტყვების გამეორების სიხშირეს;
- გ) იყო თუ არა შეურაცხმყოფელი სიტყვები მატჩის ოფიციალურ პირთა ქმედებების შეფასება თუ მიმართული იყო პირადად მათკენ.

მაგალითისთვის : „რა ..... მსაჯობაა!“ და „ რა ..... მსაჯი ხარ !“ ან „ეს ..... ვერ ხედავ ?!“ და „შე ..... ვერ ხედავ ?!“



რეკომენდირებული დისკვალიფიკაციის ვადები ძირითადი არამართებული ქცევისათვის

მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება	ნაკლებად სერიოზული	გაფრთხილება- 1 კვირა
	სერიოზული	2 – 5 კვირა
მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა	ნაკლებად სერიოზული	2-11 კვირა
	სერიოზული	12-52 კვირა
მატჩის ოფიციალურ პირთა ფიზიკური შეურაცხყოფა	ნაკლებად სერიოზული	12-47 კვირა
	სერიოზული	48 კვირა - სამუდამო
მატჩის ოფიციალურ პირთა მიმართ, მუქარის შემცველი ქმედება და/ან სიტყვები	ნაკლებად სერიოზული	12-23 კვირა
	სერიოზული	24-104 კვირა
სიტყვიერი თუ ქმედითი დისკრიმინაცია რელიგიის, რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, უნარების, კანის ფერის თუ ეროვნების ან ეთნიკური წარმოშობის ნიშნით	ნაკლებად სერიოზული	2-17 კვირა
	სერიოზული	18-52 კვირა